№ 66 მარტი 27, ოთხშაბათი 1891 მარტი 27, ოთხშაბათი № 66

# ივერია

გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

თანახმად განაჩენისა ქუთაისის სამოქალაქო საბჭოისა, ცრხა თებერვალს შემდგარისა, ამით ეცხადება შენობათა ქ. ქუთაისში პატრონებს, რომლებზედაც ერიცხება პირველს იანვრამდის ამა წლისა დასაფასებელი გადასახადი (Недоимка оцѣночнаго сбора), რომ ისინი განთავისუფლებულ იქმნებიან ჯარიმისაგან, რომელიც ქალაქს მათგან ერგება, თუ გადასახადს შემოიტანენ ოთხის თვის განმავლობაში, დღიდან ამა განცხადებისა. (3—2)

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 25 მარტს, მოხდა კრება ქალაქის საბჭოსი. მორიგ საქმეთა შორის დანიშნული იყო ამორჩევა ქალაქის თავისა და მდივნისა. საღამოს 7 საათიდამ მოკიდებული, საბჭოს დარბაზს მოაწყდა დიდძალი საზოგადოება ქალისა და კაცისა, რომელთაც გაავსეს საბჭოს აივანი და დერეფნები ისე, რომ ტევა აღარსად იყო. 8 საათზე დაიწყო სხდომა, რომელსაც დაესწრო 63 ხმოსანი. მდივანმა წაიკითხა ოქმი წარსულის კრებისა და თავ მჯდომარემ, ბ-ნმა იზმაილოვმა, ჰკითხა ხმოსნებს, სათქმელი ხომ არა გაქვთ-რა წაკითხულის ოქმის შესახებაო. ხმ. სუნდუკიანცმა გამოაცხადა, რომ ვერ დაესწრო წარსულს კრებას, რომელზედაც საბჭოს საჩივრების გამხილველ კომისიის წევრად ამოვურჩევივარ, და გთხოვთ განმათავისუფლოთ ამ თანამდებობისაგანაო. საბჭომ შეიწყნარა თხოვნა ხმ. სუნდუკიანცისა. შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა ხმოსნებს დაესახელებინათ ქალაქის თავის კანდიდატები. ჩამოატარეს ბილეთები, რომლებშიაც დასახელებულნი აღმოჩნდნენ: პ. ა. იზმაილოვი 24 ხმით, თავადი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი 34 ხმით, ნ. დ. ზუბალოვი 2 ხმით და ხმ. შახ-აზიზოვი-კამსარაკანი 1 ხმით. უკანასკნელმა უარი განაცხადა კენჭის ყრისა, რადგან „ძრიელ დიდი კაცები არიან დასახელებულნი კანდიდატებადაო“; განაცხადა უარი აგრეთვე ნ. დ. ზუბალოვმა. ამის გამო დადგმული იყო ორი ყუთი—პ. ა. იზმაილოვისა და ნ. ვ. არღუთინსკისა, რომელთა შორის პირველმა მიიღო 29 თეთრი კენჭი, 33 შავი, მეორემ —42 თეთრი და 21 შავი კენჭი. ამ სახით, ქალაქის თავად ამორჩეულ იქმნა თავადი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი.

შემდეგ მოჰხდა არჩევანი მდივნისა. დასახელებულნი იყვნენ: თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი და თავ. ვ. მ. თუმანოვი. ამათში პირველმა მიიღო 44 თეთრი კენჭი, ხოლო მეორემ—30 და ამ სახით საბჭოს მდივნად ამოირჩიეს თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი ოთხის წლით.

*** სასანიტარო კომისიას 23 მარტის კრებაზედ დაუდგენია: ა) გარჩეულ იქმნას ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ დაარსდეს ტფილისში ყვავილიანებისა და ყელ-ქირევებით ავადმყოფთათვის ცალკე თავ-შესაფარი. ბ) აუცილებლად საჭიროა ისეთი სადგომი დაარსდეს, რომ ყვავ ლიანი ავადმყოფები სრულებით განცალკევებულნი იყვნენ. და რომ ამისათვის ცალკე ხარჯი არ იყოს საჭირო ყოველ წლივ, კარგი იქნებოდა სიფილიტიურ სამკურნალოს გვერდით ცალკე შენობა იქმნას აგებული სულ 30 საწოლის მოსათავსებლადაო. ამისათვის ქალაქის გამგეობამ უნდა იკისროს და დაავალოს „სტროიტელნი“ განყოფილებას, შეადგინოს პროექტი ამ შენობისა და სია ხარჯთაღრიცხვისა.

კომისიამ განიხილა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქში უნდა დაარსდეს სადეზინფექციო სადგომი და მოიწონა კიდეც. რაც შეეხება საქიმიო ლაბორატორიას და მეორე სასანიტარო ექიმის თანამდებობისა—ამის განხილვა შემდეგისათვის გადასდო კომისიამ.

*** ექიმს მალინინს ის აზრი შეუტანია სასანიტარო კომისიაში, რომ საჭიროა ქალაქში შემოღებულ იქმნას საავადმყოფო გადასახადი, ანუ შემოღებულ იქმნას ისევ ის გადასახადი, რომელიც წინად იყო დაწესებული მუშა ხალხსა და მოსამსახურეებზე. ამ ფულით ქალაქი ადვილად შეინახავს სამკურნალოებს. კომისიამ ბ-ნ მალინინის აზრი მოიწონა და სთხოვეს ამ კომისიაშივე მყოფს ბ-ნ იზმაილოვს, რათა გამგეობამ იკისროს ამის შესახებ პროექტის შედგენა. ბ-ნმა იზმაილოვმა თანხმობა გამოუცხადა კომისიას.

*** კავკასიის ფარმაცევტების საზოგადოებამ მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ ჩვენ ვიკისრებთ ყოველგვარ სასანიტარო და საჰიგიენიო გამოკვლევას, როდესაც-კი საჭირო იქნება ქალაქისათვისაო.

ამასთანავე საზოგადოება იწერება, რომ ჩვენ ამ თავითვე შევუდგებით საკუთარის ლაბორატორიის გამართვას სხვა-და-სხვა საჭირო გამოკვლევათათვის და ამ ლაბორატორიას ისე მოვაწყობთ, რომ ქალაქის მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოსო, ე. ი. გამოვიკვლევთ საჭმელ-სასმელებს, ხორაგეულს და სხვ.

ყველა ამისათვის ფარმაცევტების საზოგადოება ქალაქსა სთხოვს წელიწადში 200 თუმანს. ღარიბ მცხოვრებთ, რომელნიც ქალაქის სამკურნალოში დადიან, მუქთად მიეცემთ შემწეობას და სხვა-და-სხვა საქიმიო, სამიკროსკოპო გამოკვლევასაც შარდისას, ნახველისას, რძისას და სხვ. მუქთად ვიტვირთებთო, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ამისთანა გამოსაკვლევი დღეში ორზე მეტი არ იყოსო. ფარმაცევტების საზოგადოება თხოულობს სამის წლით ხელ-შეკრულობას.

თუ ქალაქი დასთანხმდება, საზოგადოება ჰკისრულობს სამის თვის განმავლობაში დაამთავროს ლაბორატორიის გამართვის საქმე თავის ხარჯით.

ეს აზრი საზოგადოებისა ჯერ განხილულ იქნება სასანიტარო კომისიისაგან, რომელიც საბჭოს მიერ ამას წინად იქმნა ამორჩეული.

*** დღეს, 27 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საათზე დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. კრებაზე წევრი საზოგადოებისა პ. პ. მურომცევი წაიკითხავს თავის მოხსენებას: „Объ опытныхъ станціяхъ (виноградарства, шелководства и др.) въ Австріи“. კრებაზე არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. მ. ტყემალაძემ ამავე ეკკლესიის ეზოში სამრევლო სკოლისათვის შენობა დაიწყო. შენობა ამ ათიოდე დღეზე მზად იქნება, სკოლას აკურთხებენ და გაიმართება კიდეც.

*** კავკასიის მთავარ-მართებელის ნება-რთვით, კავკასიის სტიპენდიები შემდეგ სტუდენტებისთვის მიუციათ ამ წლის 1 იანვრიდამ: მოსკოვის უნივერსიტეტში ივანე ელიაშვილისთვის და პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიაში—დიმიტრი ჩოლაყაშვილის, ვიქტორ ვესელოვზოროვისა და ლევან პარონიანცისთვის. («Нов. Обозр.»)

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა,“ თხზ. ვიქტორ ჰიუგოსი, თარგმნილი ფრანგულით თ. სახოკიას მიერ და დაბეჭდილი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, 111 გვერდს შეიცავს და ღირს 30 კაპ. შიგა და შიგ გადავათვალიერეთ ეს თარგმანი და ენა ძალიან ბორძიკობს, კანონიერი ქართული არ არის.

*** 23 მარტს ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ბ-ნთ ბოქაულთ, რომ ყურადღება იქონიეთ და მტკვარში შესვლის ნება არ მისცეთ არც ფაიტონებს და არც პოვოსკებს, რადგან მტკვარი ადიდებულია და შესაძლებელია უბედურება რამ მოხდესო. მტკვარში შესვლის ნება ეძლევათ ფაიტონებსა და პოვოსკებს მხოლოდ ისეთ ადგილას, საცა არავითარი შიში არ არის, რომ წყალმა შიგ შესული ეტლი და ცხენები მოიტაცოსო.

*** ორშაბათს, ამ თთვის 25, დილით ამიერ-კავკასიის რკინის გზის „ტფილისის“ სადგურის უმფროსთან მივიდა ერთი ებრაელი დედაკაცი, გვარად კ—ნი, და გამოუცხადა, რომ დღეს ჩემი ქალი მოიტაცეს და ბაქოში უნდა წაიყვანონო. სადგურის უფროსმა ეს დედაკაცი გაჰგზავნა ჟანდარმებთან, რომელთაც კ—ნმა გა-

---

## ფელეტონი

### ზანგის სამკვიდრო

(ისპანიური ლეგენდა ვ. ირვინგისა)

ალჰამბრის სიმაგრეში, სამეფო სასახლის პირდაპირ, ერთი გაშლილი და ტრიალი ადგილია, რომელსაც ცისტერნის მოედანს ეძახიან. ამ მოედნის ქვეშ არაბთა დროიდამ წყლის მილებია გაყვან-გამოყვანილი, ხოლო ერთგან, სალს კლდეში, ამოკვეთილია ჭა. წყალი ამ ჭისა ყინულსავით ციეია და მინასავით კამკამი. საზოგადოდ არაბთა მიერ გაკეთებული ჭები დიდს ქება-დიდებასა და მოწონებაშია აქ, რადგანაც ყველამ იცის, რომ ამის გამკეთებელთ დიდი შრომა და ჯაფა გაუწევიათ, დიდი ოფლის ღვრა და ჭაპანწყვეტა მოსვლიათ სიპის კლდის ამოკვეთის დი წყაროთა ამორჩევისათვის. ერთი ამ წყაროთაგანი, რომლის გამო საუბარი უნდა გავიმართოთ, მთელს გრენადაში განთქმულია. დღე-ყოველ ნახავთ აქ წყლის მზიდავთ. ზოგი ზურგით ეზიდება წყალს და ზოგი კიდევ—ვირებით.

თბილს ქვეყნებში მადრევანი და წყარო ძველის-ძველ დროიდამ ხალხის თავ-მოსაყრელ ადგილად ითვლებოდა, სადაც, რასაკვირველია, იმიტომ გროვდებოდნენ, რომ სხვა-და-სხვა გვარ ჭორის შეთხზვასა და გავრცელებაში გაეტარებიათ დრო. იმ წყაროსთან, რომელიც ზემოდ ვახსენეთ, ათას გვარი უსაქმო და მაწანწალა ხალხი იყრიდა თავს და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ.

არც ერთს წყალის მზიდავს ისე არ გაატარებდნენ, რომ ქალაქის ამბები დაწვრილებით არ გამოეკითხათ. შემდეგ ამ ამბავს გაზრდიდნენ, გააზვიადებდნენ, ფეხებს გამოაბამდნენ, ფრთებს შეასხამდნენ და ამ ნაირად, ვინ იცის, რა გვარს ჭორს არ დაჰბადებდნენ. დღე ერთი იყო, ხოლო ამ წყაროსთან შეკრებილ ლაზღანდარა ხალხის მიერ შეთხზული ჭორი ათასი.

წყალის მზიდავთა შორის, რომლებიც ამ წყაროს დღეში რამდენჯერმე ესტუმრებოდნენ, ერთი ჯმუხი, დაბალის ტანისა, მსხვილ მხარ-ბეჭიანი და მრუდე-ფეხებიანი მუშა ერია. ეს გახლდათ პედრო გილი, მაგრამ ჩვენ სიმოკლისათვის პერეგილი ვუწოდოთ. როგორც ყველა ამ ხელობის მიმდევარი, ისე პერეგილიც გალიციელი იყო. საზოგადოდ ისპანიაში მუშები სულ გალიციელები არიან, ასე რომ არავინ არ იტყვის, მუშას დამიძახეთო, არამედ, დამიძახეთ გალიციელსაო.

დავუბრუნდეთ პერეგილს. ამან როცა ხელობა აირჩია და მუშაობას შეუდგა, ერთი დიდი კოკა შეიძინა, რომელსაც, რომ გაჭიანურებულად და გაზვიადებულად არა ვსთქვათ, ზურგით ატარებდა და ატარებდა კარგა დიდ ხანს. შემდეგ იმისი ყოფა-მდგომარეობა ამ ქვეყნად თანდათან უმჯობესდებოდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პერეგილმა თანაშემწე გაიჩინა. ეს თანაშემწე სულიერ არსებათა გუნდს ეკუთვნოდა, ანუ, მოკლედ და მოჭრით რომ ვსთქვათ, ერთი თქვენგან მოწონებული ზორბა და ბანჯგვლიანი ვირი იყო. აჰკიდებდა ზურგზე პერეგილი თავის გრძელყურა ამხანაგს კოკებს და გაუდგებოდა გზას არხეინად. მთელს გრენადაში პერეგილისთანა მარჯვე და მხიარული მუშა არ მოიძებნებოდა. ქუჩები გამოცოცხლდებოდა, როცა ის თავის ზარივით ხმას აწკრიალებდა და თავის ჩვეულებრივს სიმღერას აარაკრაკებდა. თან შიგა და შიგ ხმა მაღლა გაჰკიოდა: „წყალი ვის უნდა, წყალი, ალჰამბრის წყაროს წყალი, ყინულსავით ციეი და სარკესავით კამკამი?!“

აწოდებდა მუშტარს წყალს და თან ეხუმრებოდა და აცინებდა. განსაკუთრებით დიდი ხუმრობა, დიდი მახვილობა და კომპლიმენტის თქმა მაშინ იცოდა, როცა მანდილოსნებთან ჰქონდა საქმე.

ეს იყო მიზეზი, რომ გრენადაში ყველა მომაკვდავთა შორის პერეგილი თავის ზრდილობით, სიმხიარულით და მოსიყვარულე გულით განთქმული იყო და, მაშასადამე, ბედნიერიც. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხშირად ვინც მადიანად მღერის და ხმა მაღლა იცინის, გულში ათასის ვარამისა და ვაგლახის გამო სტირის

ნუმერია, რომ დღეს დილით ტფილისის ერთ-ერთმა არტისტმა ბ-ნმა კ—მა მოიტაცა ჩემი ქალი, რომელიც აგრეთვე თეატრშია „სტატისტკად“, და ბაქოში უნდა წაიყვანოსო. ამასთან კ—მა სთხოვა ჟანდარმებს, დაიჭირეთო. როგორც აღმოჩნდა, არტისტს კაცს ამ სეზონში შეჰყვარებია კ—ნი, თვრამეტის წლის ყმაწვილი ქალი და სდომებია მისი ბაქოში წაყვანა, მაგრამ დედას არ დაუნებებია. შემდეგ ბ-ნი კ—ი ბაქოდგან ჩამოსულა ტფილისში. ორშაბათს ეტლით ქალი კ—ნი წაუყვანია რკინის-გზის სადგურ „ნავთლუღში“ და იქიდგან სდომებია დილის მატარებლით წასვლა ბაქოში, სადაც კ—ნს მართლ-მადიდებლობა უნდა მიეღო თურმე. ჟანდარმებმა დეპეშით გაჰგზავნეს ბაქოს მხარეს ყველა სადგურებში ბ-ნ კ—ი და ქ-ნის კ—ნ ს დაჭერის შესახებ. მართლაც, არტისტი კაცი ქალითურთ ნავთლუღში დაეჭირათ, ნავთის მატარებლით ტფილისში მოიყვანეს და პოლიციას გადასცეს. ორივენი ორშაბათსვე ბ ნ პოლიცმეისტერს წარუდგინეს. ტფილისის პოლიცმეისტერს ორივემ გამოუცხადეს, რომ ქალს კ—ნს ქრისტიანობის მიღება უნდა და ბ-ნ კ—ს—მისი შერთვაო. ამას შემდეგ ბ-ნმა პოლიცმეისტერმა აცნობა ყმაწვილის ქალის დედას, რომ შენს ქალს ქრისტიანობის მიღებას ვერ დაუშლი, რადგანაც იგი სრული წლოვანიაო. ორშაბათსვე, ღამის მატარებლით ბ-ნი კ—ი თავისის „ჯულიეტითურთ“ ბაქოს გაემგზავრა.

*** როგორც შევიტყეთ, ამ ახლო ხანში ტფილისში ჩამოვა რამდენისამე კონცერტის გასამართავად გამოჩენილი არტისტი-ქალი ელიზა ფოსტრემი, უფროსი და ალმა ფოსტრემისა, რომელმაც შარშან გაზაფხულზე რამდენიმე კონცერტი გაჰმართა ჩვენს ქალაქში.

*** ქ-ნ ნიკიტას კონცერტი ორშაბათს, ამ თვის 25, ტფილისის „კრუჟოკში“ არ მოხერხდა, ამ მომღერალის ქალის ავადმყოფობისა გამო. ეს კონცერტი გადადებულ იქმნა პარასკევისათვის. იმავე ღამეს ქ-ნი ნიკიტა საფოსტო და სახალხო მატარებლით გაემგზავრება ბაქოს. ნიკიტას კონცერტი „ტფილისის სობრანიაში“ აღარ იქნება, თუმცა ბევრი სთხოვეს დარჩენილიყო და ეს ერთი კონცერტიც გაემართა.

*** მტკვარი გუშინ წინ ძალიან ადიდდა, რადგანაც მთებში დიდი წვიმები ყოფილა. ორშაბათს მტკვარმა ჩამოატარა მრავალი ხეხილი, ამოგლეჯილი ფესვებიანათ, სხვა-და-სხვა შენობების მასალა და ურმის თვლები. ეს უკანასკნელი გარემოება ამტკიცებს, რომ ტფილისის ზემოდ სადმე უბედურება რამ მომხდარა. როგორც ამბობენ, მცხეთას ახლო მტკვარს მოუტაცნია ურემი მეურმეებით; საქონელი და ურემი დაღუპულა, ხოლო მეურმეებისა-კი არავინ არა იცის-რა.

*** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ სახელმწიფო საბჭოში ამ დღეებში ლაპარაკი ჩამოვარდნილა ტფილისში საბალნეოლოგიო სადგურის გამართვის თაობაზე.

*** პარიჟში თურმე ხმა გავრცელდა, რომ ვითომ საფრანგეთიდამ განძევებული ჰერცოგი ორლეანელი პარიჟში იმალებაო. ამავე დროს იქ ამბავი მისულა, რომ ჰერცოგი კავკასიაშიაო. ამის გამო საფრანგეთის მთავრობა დეპეშით დაეკითხა აქაურ მთავრობას, მართლა ჰერცოგი ორლეანელი კავკასიაში არის, თუ არაო. აქედგან დეპეშით უპასუხეს, რომ ჰერცოგი ამ ჟამად კავკავში იმყოფებაო.

*** ქალაქის კინტო-ჯიბგირები რას არ მოახერხებენ, როცა-კი ქესატობა ჩამოუვარდებათ. მაგალითად, რამდენიმე კაცს მოუყრია თავი რკინის გზის სადგურს ახლო-მახლო, მიდიან საქონლის საწყობში, ვითომდა მუშების საშველად, და თანაც ცალიერი ტომრები აქვთ მიმალული. აქ ახეთქებ-დახეთქებაში სქდება ტომრები, თუ არა სქდება, ხსნიან, ამესამედებენ, რაც-კი მოჰხვდებათ, ბრინჯი, პური, სიმინდი, ქერი, ლობიო, თუ მარილი, და მერე ჩანახევრებულ ტომრებს ისევ ჰკერავენ. მოაქვთ ეს ნადავლ-ნაპარავი თავიანთ სადგომ ოთახებში, ბეღლები აქვთ დამართულები, აგროვებენ დილიდგან საღამომდის, საღამოზედ, უდიბენ დროგზედ, გააქვთ და ისე ჰყიდიან, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო.

*** ტყიბულა: ამ თვის 21-ს, ტყიბულასა და საწირის სადგურებს შუა სამუშაო მატარებელი დადიოდა. კონდუქტორი ევნატე ჩაპიძე, რომელსაც უნდა გადაება ვაგონები, შიგ შუაში მოჰყვა ვაგონებს და ყბა და გვერდები დაუჟეჟა. დაშავებული ქუთაისის ჰოსპიტალში გაჰგზავნეს.

*** რიონი: კოპიტნარის სადგურიდამ გამოვიდა 21 მარტს 4 საათზედ საქონლის მატარებელი № 31 და მოდიოდა ჩვენის სადგურისაკენ. მე-85 ვერსზე რომ მოვიდა მატარებელი, კონდუქტორი პავლე ჩაჩიძე გადმოვარდა ტორმოზიდგან და მოჰყვა თვლებს და გაისრისა.

*** სოფ. კარალეთი (გორის მაზრა): ჩვენს სოფელში წრევანდლამდე სამი სამიკიტნო დუქანი იყო. ამ დუქნებს მცირე ზარალი არ მოჰქონდა სოფლის ხალხისათვის. ახალგაზრდობა სოფლისა, ჩაიგდებდა თუ არა თავისუფალ დროს ხელში, იქ ატარებდა ღვინის სმასა და ლოთობაში. ან არა და იკრიბებოდა დუქნების კარებზე ხალხი და ლოთობანდარობდა. გლეხებმა იგრძნეს ყოველივე ეს და გადასწყვიტეს, აუკრძალონ დუქნის პატრონებს ვაჭრობა. მართლაც, წელს იანვრიდამ აღარც ერთს მიკიტანს ნება აღარ მისცეს, რომ დუქანი ჰქონოდათ.

*** გორი: კვირას, 24 მარტს, დანიშნული იყო არჩევანები გორის ქალაქის თავისა. ხმის უმეტესობით ქალაქის თავად არჩეულ იქმნა დიმიტრი ივანეს-ძე მუსხელაშვილი.

*** ხაშური: 20 მარტს გაისტუმრეთ აქედამ საქონლის მატარებელი, № 22. სანამ ყვირილის სადგურზედ მიდიოდა, მე-3146 ნომრის ვაგონიდგან მოეპარათ სამი ყუთი საქონელი, სამივე ბაქოდგან გამოგზავნილი: ერთ ყუთში ხმელი ხილი ყოფილიყო 1 ფუთი და 8 გირვან. მეორე ყუთი—საწერი მასალა, 6 ფუთი და 32 გირვ. და მესამეში—შტემპელები ყოფილა 1 ფ. და 13 გირვ. წონითა. გამოძიება სწარმოებს.

*** პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, ინგლისელი გეოლოგი სერ ლოუ მოვიდა აქა, აქედგან კავკასიაში მიემგზავრება მყინვარების გამოსაკვლევად და ორი წელიწადი მოიგვიანებს, რადგან მყინვარებს გარდა იმ ქვეყნის „ქვის ეპოქის“ ნაშთებიც უნდა გამოიკვლიოსო. სერ ლოუს ცოლიც თან წაჰყვება, რომელიც ცნობილი ენთომოლოგიაო.

*** ტფილისში დაარსებულ ღამის გასათევ თავ-შესაფარს შემოსწირეს: მომღერალმა ქალმა ლ. ნიკიტამ 100 მ., ი. ფ. ტიგრანოვმა 25 მ., ბ—იმ 2 მ., ა. ა. ბებიკოვმა 3 მ., ა. ი. მამიკომა 3 მ., სულ 133 მ., ძველიანად შესდგა 1501 მან.

*** 22 ამ თვისას ახალ-სამების პოსელენიის მცხოვრებლის დავით ცომოლოშვილის ეზოში ნიკოლოზ შოხბოლოვის პოვოსკაში შებმული ცხენი დაფრთხა და ქვეშ მოიტანა 2 წლის ყმაწვილი ცომოლოშვილისა. შოხბოლოვი პასუხის გებაში მისცეს.

*** 23 მარტს გეიდენოვის ქუჩაზე კონსტანტინე გარაყანიძეს სახლის ღია ფანჯრიდგან მოჰპარეს ქალისა და კაცის საათი, ღირებული 120 მანეთად. აგრეთვე ფულად 50 მან., და 10 მანეთიანი ფეხსაცმელი.

*** 24 ამ თვისას ლუარსაბის ქუჩაზე, სიმთვრალის დროს, სერგო პეტრუსოვმა დანით მსუბუქად დასჭრა სტეფანე ტერ-არუთინოვი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად ჩვენს ნარკვევში დაწვრილებით ვუამბეთ მკითხველს ვითარება ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა და ფოთის ქალაქის თავად ყოფილის თავ. თავდგირიძის საქმისა, რომლის გამოც დიდი კამათი ასტყდა და რომელიც ბოლოს იმაზედ შესდგა და შეჩერდა, რომ მედიატორენი იქმნენ ამორჩეულნი ამ საქმის განსახილველად და გამოსარკვევად. აი რას ამბობს ამის შესახებ გაზ. „Новости“-ში ამ გაზეთის მეფელეტონე ბუკვა:

ტფილისის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც ფოთის ქალაქის თავმა თავ. თავდგირიძემ უსაფუძვლოდ და თავის შეურაცხმყოფელად მიიჩნია. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ფოთის ქალაქის თავმა „სახელი გაუტეხა საზოგადოების წინაშე მთელს ინტელიგენციასაო“. ეს სიტყვები საკმარისი იყო, რომ იმას, ვისაც შეეხება, სადიფამაციო საჩივარი შეეტანა კანონთა კრებულის მე-1,039 მუხლის თანახმად. კარგი, მაგრამ სასამართლოს განაჩენი, თუნდა დასაჯოთ კიდეც გაზეთი, ამ საგანს ზნეობრივად ვერ გადასწყვეტდა, და შეურაცხყოფილისათვის ხომ ასეთ სწორედ საგნის გადაწყვეტა საჭირო. სასამართლო არც კი გამოიძიებდა და არც-კი გამოიკვლევდა, მართლა თავისის მოღვაწეობით თავ. თავდგირიძემ სახელი გაუტეხა ინტელიგენციას, თუ არაო? იგი მარტო ამას დაადგენდა: შეურაცხჰყოფს თუ არა ეს სიტყვები მომჩივანის პატიოსნებასა, სახელსა და წოდებასაო? ასეც რომ მომხდარიყო, განა ეს გაამართლებდა სრულიად და პირ-ნათლად გამოიყვანდა საზოგადო მოღვაწეს? ეს სიტყვები კანონს შეიძლება ადამიანის შეურაცხმყოფელად დაენახა, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ზნეობის მხრით-კი სრულიად სამართლიანი ყოფილიყო და თანახმა საერთოდ საზოგადოების აზრისა. საზოგადო მოღვაწისათვის მოსამართლეთა თანაგრძნობა კი არ არის ძვირფასი, არამედ თანაგრძნობა იმის თანამოქმედთა, იმის ამომრჩეველთა. ამ მხრივ შეჰხედა ამ დასტამბულს სიტყვას ფოთის ქალაქის თავმა თავ. თავდგირიძემაც. გაზეთის მიერ დადებული ბრალი მეტად მძიმე ბრალად იცნო— „ამაზედ მძიმე ბრალის დადება ძნელად წარმოსადგენიც-კიაო“ (სწერს იგი),—საშინლად აღელვდა, მაგრამ მაინც, ამისდა მიუხედავად, ტფილისის სამოსამართლო პალატაში არ გაიქცა თავ. თავდგირიძე იმის სათხოვნელად, დაუმტკიცეთ ფოთელებს, რომ მე საზოგადოების წინაშე ინტელიგენციის სახელი არ შემიბღალავსო. არა, მან წერილით მისწერა ხელმძღვანელს «ნოვოე ობოზრენიესას» ბ-ნს ნიკოლაძეს, რომ გარეშე რწმუნებული კაცები ამოვირჩიოთ და იმათ გავარჩევინოთ ეს საქმე, იმათ განიხილონ, ვინ მართალია და ვინ მტყუანიო. ფოთის ქალაქის თავმა გამოუცხადა რედაქტორს, რომ სამედიატორო სასამართლო ამოვირჩიოთ და ამ სასამართლომ „დასდოს მკაცრი განაჩენი ერთს ჩვენგანსაო“. აი, მართლაც, ნამდვილი განაჩენი ეს იქნება, განაჩენი საბოლოოდ გადაწყვეტილი, ხელ-შეუხებელი და შეუშლელი, იმიტომ-რომ წმინდა ჭეშმარიტებად იქნება მიჩნეული, და უნდა იყოს კიდეც. ტფილისელი პუბლიცისტი, რაღა თქმა უნდა, არ იუარებს და მაშინვე დასთანხმდება, რომ მართლა საქმე ასე გადასწყდეს, რადგან რიგიანსა და მართებულს ხალხს სწორედ ასე შეშვენით და შეჰფერით მორიგება. თუ გაზეთი გამართლდა, იმისი სასტიკი სიტყვა საზოგადოების მხრივაც იქნება შემოწმებულ-დასაბუთებული და უფრო დიდი ძალა და მნიშვნელობა მიეცემა, ხოლო თუ თავ. თავდგირიძემ გაიმარჯვა, მაშინ საზოგადოების პატივისცემა გაუორკეცდება და გაუსამკეცდება. დამარცხებული საქვეყნოდ შერცხვენილ იქნება და, სასამართლოს ამ საქმეში გაურევლად, სასტიკად დასჯილიც. ეს კავკასიაში მომხდარი მაგალითი სწორედ იმის ღირსია, რომ თანაგრძნობით მივეგებოთ. მოწინააღმდეგის სასამართლოში, ან „პოლიციაში წათრევა“ კანონისამებრ დასასჯელად ადვილია,

---

და ჰგოდებს. პერეგილის საქმეც ასე იყო. ამ ბედნიერსაც აწუხებდა თავისი უბედურება, ამ მხიარულსაც ჰქონდა თავისი დარდი: იმას შვიდი ერთმანეთის მომდევნო შვილი ჰყავდა, რომელთაც ჩაცმა-დახურვა და საჭმელი უნდოდათ. უნდა გენახათ ეს შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე ბალღები მაშინ, როცა პერეგილი დღის მუშაობის გამო დაღლილ-დაქანცული სახლში დაბრუნდებოდა. შემოერტყმოდნენ საცოდავს პერეგილს გარშემო და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. ზოგი პურსა სთხოვდა, ზოგი ხილს, ზოგი—პერანგის შეკერვას და სხვა. მართალია, პერეგილს მეუღლე ჰყავდა, მაგრამ თითქმის ვერაფერში ვერა ჰშველოდა. ის მხოლოდ იმით იწონებდა თავს, რომ ერთხელ თავის სოფელში სილამაზით იყო განთქმული და ამას გარდა მარდისა და კარგის მოცეკვავის სახელი ჰქონდა დავარდნილი.

აქაო-წინებში პირველ ხანებში ის თავის წინანდელ ჩვეულებას თავს არ ანებებდა, რის გამოც პატიოსანის პერეგილის მონაღვაწები სულ იმის მორთვა-მოკაზმვასა და დროს გატარებას უნდებოდა. ამაებს ისიც დაუმატეთ, რომ პერეგილის მეუღლე მეტად ზანტი და ზარმაცი იყო და ისეთივე ყბედი და ენა-მოუსვენარი, როგორც კაჭკაჭი. ოჯახი ფეხებზე ეკიდა, შვილების დარდი სრულიად არ აწუხებდა და თავის სიცოცხლეს მხოლოდ ნაცნობებსა და მეზობლებთან სიარულში ალამებდა. ყოველსავე ამას პერეგილი უდრტვინველად და უსაყვედუროდ იტანდა. ცოლის ყბედობასა და შვილების კივილ-წივილს ისე ითმენდა და უძლებდა, როგორც თავისი თანაშემწე ვირი, რომელიც ნიშნად უსიამოვნებისა ხანდახან მხოლოდ თავის ყეებ-თელა ყურებს გააპარტყუნებდა. ამ გვარად მიდიოდა იმისი ცხოვრება და ერთხელაც იმას თავში ფიქრადაც არ გაუვლია ის აზრი, რომ რითიმე უბედური ვარო.

პერეგილს შვილები დიდის გატაცებითა და თავ-დავიწყებით უყვარდა და ამის საბუთიცა ჰქონდა: ყველა იმას ჰგავდა, ყველა ისე ჯან ხალი იყო, როგორც თითონ ის და ყველას ისე მრუდე ფეხები ჰქონდა, როგორც იმას.

დიდი დღესასწაული დაუდგებოდა პერეგილს მაშინ, როცა თავისუფალი დრო ჰქონდა და თავისუფალ დროსთან რამდენიმე გროშიც უჭყაოდა ჯიბეში. წაიყვანდა თავის ბალღებს ბაღში და სტკბებოდა იმათის ცქერით, როცა ბალღები ჩვეულებრივს თამაშსა და ცელქობას მართავდნენ და იმისი ცოლი კიდევ თავის მარადის ცეკვით ბაღში მოსეირნე ხალხს ართობდა.

ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. მეთულუხეების უმეტესმა ნაწილმა მძიმესა და ძნელს შრომას თავი დაანება. დიდი სიცხე-პაპანაქება იდგა. მთვარიანი ღამე გამოვიდა და ეს იმედს იძლეოდა, რომ დღის სიცხე-პაპანაქებისაგან სულ-შეხუთული ქვეყანა სულს მოიბრუნებდა და არე-მარეს გრილი და საამო ნიავი დაჰბერავდა. ეს ის დრო იყო, როცა მთელის დღის განმავლობაში სახლში გამომწყვდეული ხალხი გარედ გამოდის და აქეთ-იქით იფანტება, რომ ახალი და გრილი ჰაერი ჩაჰყლაპოს. წყლის მუშტარნი კიდევ არ იყვნენ სახლში წასულ-წამოსულნი, ეს გარემოება პერეგილს, როგორც ოჯახის ერთგულს მამას, ერთი-ორად ამუყაითებდა შრომასა და მეცადინეობაზე. თუმცა დაღლილ-დაქანცული იყო და მოსვენება ძალიან ეჭირვებოდა, მაგრამ ყოველთვის თვალწინ უდგა თავისი მშიერი ბალღები, რის გამოც მოსვენების ნებას არ აძლევდა თავის თავს.

— ერთხელ კიდევ უნდა წავიდე წყაროზე, — სთქვა მან — რომ კვირისათვის ჩემს ბალღებს რაიმე საჩუქარი მივუტანო.

ამ აზრით მამაცად გაეშურა ალჰამბრისაკენ. გზა და-გზა ჩვეულებისამებრ სიმღერას არაკრაკებდა და თან ყურდიდა ცხოველს წკეპლს გადუტყლაშუნებდა. ამას იმიტომ სჩადიოდა, რომ სიმღერის მადა არ დაეკარგა, და, ამას გარდა, გაწკეპლვა და გაჯოხვა სახედრისა ხომ ისპანიაში ბალახის ჭმევის მაგიერობაა.

წყაროსთან პერეგილს არავინ არ დაუხვდა, გარდა ერთის უცნობის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასეთი საქციელი ისტორიულად ძალიან დახავსებულია და არც გონიერი, უვარგისი თვით შეურაცხყოფილისათვისვე, რადგან საზოგადოებაში სახელს კვლავ ვერ აღუდგენს და ჩირქს ვერ გადასწმენდს. ზემოხსენებულისთანა შემთხვევაში სამედიატორო სასამართლო ერთად-ერთი კარგი ღონეა, რომ დამნაშავე გამოაშკარავებულ და გამტყუნებულ იქმნას და უბრალოდ ცილ-დაწამებული — სრულიად გამართლებულ. განათლებულს, ინტელიგენტს ხალხს სასამართლოს გარეშეც შეუძლიანთ მორიგება და შეთანხმება.

ასეთის დიდის თანაგრძნობით იხსენებს გაზ. „Новости"-ს მეფელეტონე თავ. თავდგირიძის საქციელს. როგორც ვიცით, ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ, მართლაც, უარი არა სთქვა და დასთანხმდა, რომ საქმე სწორედ მაგ გზით გადაწყვეტილიყო. მედიატორენიც უკვე ამორჩეულ იქმნენ და ეხლა ჯერ-ჯერობით იმათ ხელშია ამ კამათის ავ-კარგიანობა, ჯერ არა დაუდგენიათ-რა, არა გადაუწყვეტიათ-რა, რადგან იმათი განაჩენი, პირობისამებრ, ბეჭდვითვე უნდა იყოს გამოცხადებული. გამოცხადებისათანავე ჩვენს მკითხველებსაც გავუზიარებთ ამ განაჩენს.

## რუსეთი

ლოთობის წინაამდეგ საზოგადოებას ადესაში შემდეგი ათი მცნება გამოუცია, როგორც „Одесскій Листокъ"-ი მოგვითხრობს:

1) ეცადეთ, რომ ცხოვრება ლოთობაში არ გაატაროთ.

2) უზომოდ ნურავის ასმევთ მაგარ სასმელებს.

3) არავის აქირავოთ სახლი მაგარი სასმელების საწყობისა და რესტორანის გასამართავად.

4) მაგარი სასმელების ყიდვა-გაყიდვას საქმედ ნუ გაიხდით.

5) ღვინოს ნუ დააყენებთ.

6) იქადაგეთ სიმთვრალისაგან წარმომდგარის ზარალისა და ვნების შესახებ.

7) ურჩიეთ სხვებსაც, რომ ჩაეწერონ წევრად ჩვენის საზოგადოებისა.

8) არც ბეჭდვით და არც ისე არ გაავრცელოთ ის ხმა, რომ მათრობელა სასმელი რაშიმე გამოსადეგი იყოს.

9) რამდენადაც შეიძლოთ, ლოთობას სხვებიც გადააჩვიეთ.

10) თვალ-ყური ფრთხილად გეჭიროსთ, რომ სასმელთა წესდებისა და ყიდვა-გაყიდვის კანონი არავინ დაარღვიოს.

— იჟევსკის ქარხანაში ამას წინად ერთი საზარელი შურის-ძიება მოხდა. ამ ქარხანაში საზოგადო ბანკი არის დაარსებული, რომლის ხაზინადარი შირიაევი რაღაც უწესოების გამო თანამდებობისაგან დათხოვნილ იქმნა. ხელ-მოკლეობის გამო შირიაევმა დაგირავებული სახლი ვერ დაიხსნა და ამ გარემოებამ და სამსახურიდამ დათხოვნამ დიდს გაჭირვებაში ჩააგდო. მეტი გზა აღარ იყო, ბანკიდამ სესხი უნდა აეღო, მაგრამ ბანკის დირექტორმა დუბროვინმა სესხის მიცემაზე უარი უთხრა. ამის გამო შირიაევს შურის-ძიების სურვილი დაებადა. ერთს დღეს შედის ბანკის დირექტორთან და რაღაც წერილს აძლევს. დირექტორი წერილის გახსნას ვერც-კი მოასწრებს, რომ შირიაევი გულში ხანჯალს დასცემს და იქვე სულს გააფრთხობინებს. ამ ამბით აღშფოთებული და ელდა ცემული ცოლი დუბროვინისა მივარდება ქმართან, მაგრამ შირიაევი ამასაც სიცოცხლეს მოუსწრაფებს და ამას შემდეგ თვითონაც გადიღადრავს ყელს და ამ გვარად მოიკლავს ქანს თავის არა ჩვეულებრივის შურის ძიებისას.

— ერთმა ადესელმა ებრაელმა, რომელსაც ებრაული სახელი ეთაკილება, ითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ ნება მომეცით შმერლემის ნაცვლად ალექსანდრე დავირქოო. ერთი სიტყვით ამ ებრაელის თხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ ებრაელადვე დარჩეს და ქრისტიანის სახელს-კი ატარებდეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი თხოვნა ამ ახირებულის ებრაელისა სამინისტრომ არ შეიწყნარა.

## წვრილი ამბები

პარიჟსა და ლონდონს შუა ამას წინად ტელეფონი გამართეს და ამ ტელეფონის საშუალებით პარიჟში წარმოდგენილი ოპერა მასნესი „La Mage" ლონდონში მოისმინეს. ყოველივე ის, რაც პარიჟის სცენაზე ხდებოდა, ლონდონში გარკვევით და უნაკლულოდ ისმოდა.

ზოლას რომანები, გარდა „ფულისა", „Figaro"-ს ანგარიშით, 1,750,000 ტომი გაუყიდულა. ამ წიგნებში, რასაკვირველია, ავტორს დიდძალი ფულები აქვს მიღებული და გარდა ამისა გაზეთებიდამაც თითოეულის რომანისათვის 10 ათასობითა და 15 ათასობით იღებს.

შეპალის სახლიდამ ამ დღეებში ქურდებმა მოიპარეს ნაპოლეონ I-ის ნაქონი სერთუკი, რომელიც, ვინ იცის, რამდენის ძლევა-მოსილების და გამარჯვების მოწამე იყო. რასაკვირველია, ქურდებმა არ იციან, რა ძვირფასი ნივთი ჩაიგდეს ხელში, ან თითონ ჩაიცმენ და ან ვიღაც ძველის ტანისამოსის ვაჭარს მიჰყიდიან ამ დიდებულის კაცის ნაქონს სერთუკს. მთავრობა ძალიან გულ-მოდგინედ შეუდგა ქურდების ძებნასა და დანაშაულის კვალის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველივე ამაოა.

საბერძნეთის ქალები მას შემდეგ, როს სილამაზითა და სიკეკლუცით განთქმული ასპაზია ხიბლავდა და აჯადოებდა პერიკლეს და კსანტიპა, მეუღლე სოკრატესი, კარგს დიასახლისად ითვლებოდა, არაფრით თავს არ იჩენდნენ, არაფერი იმათ შესახები არ ისმოდა. ახლა გაზეთები ამბობენ, რომ 2,800 ბერძნის ქალმა საბერძნეთის მთავრობას თხოვნა მიართვეს და თხოულობენ, სკოლები გაგვიმართეთ, სადაც სხვა-და-სხვა ხელობისა და ხელთ-საქმობის სწავლა შეგვეძლოსო. საბერძნეთის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე ქალი ამ თხოვნას დიდს ყურადღებას აქცევს და ძალიანაც ჰქომაგობს თურმე.

არზის საგიჟო სახლიდამ ამას წინად ერთი მანდილოსანი გამოვიდა, რომელიც თავის თავ-გადასავლით შესანიშნავი ყოფილა. ახალგაზრდობისას ის ერთს ახალგაზრდა ქალს შეუყვარებია, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ჯვარის წერა ვერ მოუხერხებიათ. იძულებული გამხდარა სხვას გაჰყოლოდა ცოლად და წინანდელი რომანიც, როგორც იყო, დაუვიწყებია. ერთხელ ავად გამხდარა. მოუწვევიათ მკურნალი და წარმოიდგინეთ, რომ მკურნალი ავადმყოფის მიჯნური აღმოჩნდა. ეს ამბავი იმათ შორის ხელ-ახლა აღაგზნებს სიყვარულის ცეცხლს. მკურნალი თავის მიჯნურს ბანგს ასმევს და ისეთ ნაირად დაამინებს, რომ ავად-მყოფი მკვდარი ჰგონიათ. მკურნალიც დაამოწმებს, რომ მკვდარიაო და შემდეგ მოიტაცებს თავის საყვარელს. რამდენისამე ხნის შემდეგ ქალი გაგიჟდება და საგიჟე სახლშიაც მიაბარებენ, ხოლო მკურნალი სადღაც მიიმალება და კანონიერმა ქმარმა ამ ქალისამ სხვა ქალი შეირთო და ამ ნაირად ორ-ცოლიანი შეიქმნა.

— ლონდონსა და პარიჟს შუა ხომ გამართეს ტელეფონი და ამ ახლო ხანში უნდათ, რომ ტელეფონის საშუალებით ბერლინი და ვენა შეაერთონ.

— ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულს შტატებში ინფლუენცია მძვინვარებს და ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მსხვერპლად. ქალაქს ჩიკაგოში ორი კვირის განმავლობაში ამ სნეულებით 150 კაცი მოკვდა. იმავე ხანში ალდექსაში შვიდასზე მეტი ადამიანი დახოცილა.

— აპრილის წიგნში ჟურნალის „Nord uud Süd"-ისა დაიბეჭდა პირველი ნაწილი ფერდინანდ ლასალის დღიურისა, რომელიც იწყება 1 იანვრიდამ 1840 წ. და თავდება გაზაფხულში 1841 წლისა. ლასალი დაიბადა 11 აპრილს 1825 წელს და მაშასადამე, როცა ეს დღიური უწერია 15—16 წლისა ყოფილა. დღიურის დაბეჭდილს ნაწილში ის დროა ლასალისა, როცა ეს შესანიშნავი კაცი გიმნაზიაში სწავლობდა, ანუ უკედ ვსთქვათ სრულიადაც არა სწავლობდა გიმნაზიის საგნებს, მაგრამ იმავე დროს თავის ნიჭით ყველა გაკვირვებასა და განცვიფრებაში მოჰყავდა.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვუცხადოთ გულითადი მადლობა ჩვენ და პატიმართ მაგიერ, მარიამ ანგლიკოვსკისას, ჟურნალის „ჯეჯილის" რედაქტორს და დავით სარაჯოვს, რადგან პირველისგან მოგვდის ჟურნალი „Родина" ამ წლისა, „ჯეჯილის" რედაქციისაგან მივიღეთ წარსულის წლის მთელი ნომრები და ბ-ნი სარაჯევიც ამ წლის ჟურნალს „ჯეჯილს" ჰგზავნის წიგნთსაცავის სასარგებლოდ.

გამგე წიგნთსაცავისა მღვ. მიხეილ ხელაშვილი

თელავი

### II

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნ მარიამ ჩაჩავასას, რომელსაც დაბა ოჩამჩირეში გამართულ წარმოდგენების შემოსავლიდგან გადადო ჩემდა სასარგებლოდ ოცი მანეთი და რომელიც უკვე მივიღე.

სასულიერო სემინარიის მეხუთე კლასის მოსწავლე ს. სვანიძე

24 მარტი

## დეპეშა

23 მარტი

სტამბოლი. სტამბოლელ სომეხთა შორის ბევრნი დააპატიმრეს, რადგან შეთქმულობა აღმოაჩინეს. შეთქმულთ აზრად ისა ჰქონდათ თურმე, რომ კუმკაპუს ეკლესიაში წირვის დროს სომეხთა პატრიარქი აშკარად შეურაცხეყოთ და გამოეცხადებინათ, რომ ჩვენი პატრიარქი აღარ არისო.

სოფია. გაზ. „სვობოდაში" მკაცრი წერილია დაბეჭდილი სერბიის წინაამდეგ. გაზეთი სერბიელებს იმ ბრალსა სდებს, იმათ ესიამოვნათ და გაეხარდათ ის ამბავი, რომ სტამბულოვს მოკვლა მოუნდომეს და ამას გარდა ბინასა და თავ-შესაფარს აძლევს ავაზაკებსაო.

სოფია ქუჩებში გაკრულია რესკრიპტი პრინცის ფერდინანდისა, სტამბულოვთან მიწერილი. პრინცი ულოცავს სტამბულოვს, რომ ბედნიერად გადარჩით განსაცდელსაო, და აცხადებს, ეს სურვილი თქვენის მოკვლისა აშკარად ამტკიცებს, რომ ბოლგარიის შინა და გარეშე მტერნი ობლად არიან დარჩენილნი, ყურადღებას აღარ აქცევს იმათ არც ერი და არც ჯარი და იძულებულნი არიან მკვლელობას მიჰმართონო. რესკრიპტი სწერს აგრეთვე, რომ მთავრობამ სასტიკი ღონისძიებანი უნდა იხმაროს და ეცადოს, რომ ამისთანა საქმე კვლავ აღარ განმეორდეს, სამაგალითოდ უნდა დასაჯოს ბრალდებულთა და მტერთა ყოველივე კვალი გააქროს და გაანადგუროსო.

24 მარტი

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი 23 მარტს, დილით, მშვიდობიანად მივიდა გონგ-კონგს. გუბერნატორი, ჯარის უფროსი და ინგლისის ადმირალი ინახულა, შემდეგ გადმოვიდა ხომალდიდგან და გუბერნატორს ეწვია დარბაზად. 24 მარტს მისი უმაღლესობა კანტონისკენ გაემგზავრება.

ოფიციალურივე დეპეშა მოვიდა ჰეროსკადგან, რომ სირ-დარიის ნაპირები გამაგრებული იყო გოდორ-ყურეებით. ეს გოდორ-ყურეები წყალმა წაიღო და იქაურობა წალეკა: 100 სახლი დააქციაო.

„ნოვოე ვრემია" იუწყება, რუსეთი და გერმანია მორიგდნენ ერთმანეთში და გადასწყვიტეს: მოვსთხოვოთ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებს, რომ მათმა აგენტებმა მოსპონ თავისი საზიანო მოღვაწეობა და ნულარ სცდილობენ ხალხის წაქეზებას ჩვენის ქვეყნიდგან გადასასახლებლადაო.

ბელგრადი. რაკი მკვლელი კალ-

---

ცისა, რომელიც ქვაზე იყო ჩამომჯდარი და რომელსაც არაბული ტანისამოსი ეცვა. პერეგილი შეჩერდა და შიშითა და გაკვირვებით დაუწყო ცქერა უცნობს ადამიანს, რომელმაც ხელით ანიშნა, რომ ახლო მოიწიეო.

— ხომ ჰხედავ, ავადა ვარ და ავადმყოფობის გამო ისე დასუსტებული, რომ ქალაქში დაბრუნება აღარ შემიძლიან, — უთხრა უცნობმა: მიშველე, წამიყვანე ქალაქში და ორ იმდენს მიიღებ ჩემგან, რამდენსაც წყლის გაყიდვისაგან მიიგებ.

პერეგილის კეთილი გული ასეთმა თხოვნამ სიბრალულითა და მოწყალებით აღავსო.

— ღმერთმა დამიფაროს, — უპასუხა მან — რომ ასეთს უბრალო საქმეში, რასაც კაცთ-მოყვარეობა უმისოდაც მავალებს, ვისმეს სასყიდელი გამოვართვა.

შეჰსვა ვირზე ზანგი და ნელის ნაბიჯით გრენადის გზას გაუდგა. უბედური მაჰმადიანი იმდენად დასუსტებული იყო, რომ ვირზე თავს ვერ იმაგრებდა და პერეგილს ეჭირა ორივე ხელებით. როცა ქალაქში შევიდნენ, პერეგილი ზანგს დაეკითხა, სად მიგიყვანოო.

— ვაგლახ მე! უპასუხა ზანგმა მისუსტებულისა და მიკნავებულის ხმით: აქ მე არც თავ-შესაფარი მაქვს, არც ნაცნობი მყავს. სიკეთე სიკეთეს დაადევი, „მადლს მარილი მოაყარე", მომეცი შენს ჰერს ქვეშ ამალამ ბინა და მერწმუნე, უხვად მიიღებ სამაგიეროს.

თუმცა ეს ამბავი პერეგილისათვის მოულოდნელი იყო, მაგრამ მისი კაცთ-მოყვარე გული ვერ მოითმენდა, რომ უბედურებაში თავის მოყვასისთვის შეწევნა არ მიეცა. ხმა-ამოუღებლად გააქანა სტუმარი სახლისაკენ. ბალღები დაჩვეულნი იყვნენ, რომ გაიგონებდნენ თუ არა ვირის ბაკი-ბუკს, მაშინვე გარედ გამოვარდებოდნენ და მამას შემოეხვეოდნენ, მაგრამ ახლა უცნობის კაცის დანახვისთანავე დაფრთხნენ, ისევ სახლში გაეშურნენ და დედის კალთას ამოეფარნენ. პერეგილის ცოლი ამ ამბავზე კარში გამოვიდა და, რაკი გაიგო ბალღების შეშინების მიზეზი, თავისებურად ყვირილი მორთო.

— ეს რა ამბავია? ამას რას ეხედავ? ურწმუნო, წარმართი სახლში მოგიყვანია? რაღა გვეშველება, რაღა გვეწამლება, რომ ეჭვი აილონ? ვინღა გადაურჩება ცოცხალ ი ინკვიზიციას?

— დაჩუმდი! — ემუდარებოდა პერეგილი: ეს უცხო კაცი ავადმყოფია, უთვის-ტომო, უსახლ-კარო, და რა მადლი იქნება, რომ ქუჩაში მოკვდეს?

ცოლი მაინც არა ცხრებოდა, პირიდგან სულ ცეცხლსა ჰყრიდა და თუმცა იმათი სახლი მღვიმეს უფრო მიაგავდა, ვინემ სახლს, მაინც ამბობდა: „არ მინდა დიდებულს სახლს სახელი გაუტეხო და ჩირქი მოვაცხოვო". მაგრამ ამ ჟამად ცოლის გაკაპასებამ პერეგილი სრულიადაც არ შეაშინა. მან გადასწყვიტა, რაც უნდა დამემართოს, ჩემი უნდა გავიტანოო. უბედური მაჰმადიანი ჩამოსვა ძირს, დაუგო ჭილობი და დააწვინა. ამაზე უკეთესი ლოგინი არ მოეპოვებოდა, თორემ არ დაიშურებდა.

რამდენისამე ხნის შემდეგ ავადმყოფი ცუდად გახდა, კანკალი აუვარდა და სულის თქმა მოუხშირა. პერეგილმა ყოველივე ღონე იღონა, რომ ავადმყოფისათვის რაიმე ეშველა, მაგრამ ამაოდ. ზანგმა მადლობის გამომეტყველის თვალებით ანიშნა, ჩემთან მოდიო და წყნარად უთხრა:

— ვგრძნობ, რომ ჩემი აღსასრული მოახლოვდა. ეჭვი აღარ არის, რომ ვკვდები. სიკეთის სამაგიეროდ სიკეთე უნდა გიყო და აი მიანდერძებია შენთვის ეს ყუთი.

ამ სიტყვებზე გაიხსნა ღილი და აჩვენა ხის პატარა ყუთი, რომელიც სარტყელზედ ეკიდა.

— ღმერთმა შენ გაცოცხლოს და შენი ქონებაც შენვე მოგახმაროსო, უპასუხა პატიოსანმა მასპინძელმა.

ზანგმა თავი გაიქნია, ყუთს ხელი მოავლო და უნდოდა რაღაც აეხსნა და განემარტნა პერეგილისათვის, მაგრამ იმისმა უკანასკნელმა წამმა დაჰკრა და უბედურმა სული განუტევა.

ლ. წ—ძე

(შემდეგი იქნება)

დაუმჩნევლად გადაიკარგა სადღაც, სოფიის ქვეყნის მმართველ წრეებში აღელვება თანდათან უფრო ვრცელდება. გადაწყვეტილია, რომ პოლიციაში მოსამსახურენი სხვა-და-სხვა თანამდებობაზედ გადიყვან-გადმოიყვანონ და ახლები დანიშნონ. მართლდება ის ხმა, რომ განზრახვა აქვთ მოიწვიონ ვენგრიიდგან სლავიანურ ენის მცოდნე ჟანდარმის უნტერ-აფიცრები. რუმელიის ჯარი იმიტომ მოუწვევიათ, რომ სოფიის მეციხოვნე ჯარს უნდობლად ეკიდებიან. სტამბულოვი განსაკუთრებით აფიცრებზეა გამწყრალი, რადგან მაშინ, როცა ჩემი მოკვლა უნდოდათ, ისინი განგაშის მიუხედავად არხეინად ისხდნენ სასტუმროებშიო.

ბერლინი. ინგლისის წყლებზედ მყოფთ ხომალდებს ებრძანათ, რომ დაუყოვნებლივ ჩილესაკენ გასწიეთ, რადგან იქ გერმანიის გემი დაუჭერიათო.

ლონდონი. გონგ-კონგიდგან იუწყებიან, რომ დღეს დილით მემკვიდრე ცესარევიჩი წავა კანტონს, სადაც მის უმაღლესობას ჩიხეთის ვიცე-კოროლი შეეგებებაო.

ალჟირი. დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე ძალიან კარგად ბრძანდება და გუშინ სამგზავროდ წავიდა ქაბილიაში, სადაც ოთხს დღე-ღამეს დაჰყოფს.

26 მარტი

პეტერბურგი. გადაწყვეტილია, რომ ციმბირის რკინის გზა უსსურის მხარეში, ხაზინის ხარჯზე გაკეთდეს. ჩლიაბიდამ ირკუტსკამდე გზის გაკეთება თავს იდვა ფრანკო-რუსეთის რკინის გზის საზოგადოებამ, გამოანგარიშებულია, რომ ამ საქმეს მოუნდება $3^1/_2$ წლიწადი. როგორც სჩანს საყოველთაოდ გამოცხადებულის საბუთებიდამ ციმბირის ჩინეთთან რკინის გზით შეერთების აზრი 15 წლის წინად იყო მოწონებული მთავრობის მიერ. აღმოჩნდა, რომ პროექტი ამის შესახებ 23 მარტიდამ 1866 წ. წარუდგენია შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც გაუგზავნია ადგილობრივ საგანგებო მინდობილებათა მოხელე პოლკოვნიკი ე. ვ. ბოლდანოვიჩი და ამ უკანასკნელს დაწვრილებით შეუმუშავებია რკინის გზის გაკეთების პროექტი.

ვენა. რუსეთის ფინანსთა სამინისტროსა და როტშილდს შორის მოლაპარაკებაა პარიჟში რუსულის 3% სესხის დაარსების გამო, თუმცა ეს მოლაპარაკება ისე დაბოლავდა, როგორც სასურველია,—„Neue Freie Ppesse“—მაშინ ბ. ვიშნეგრადსკი დაინახავს, რომ გერმანია, რომელიც როტშილდთან ერთად სესხში მონაწილე იქნება, მიიღებს 3% სესხს იმავე კურსით, რომლითაც წინად არ მიიღო 5% რუსული რენტა.

ბელგრადი. დანამდვილებით ამბობენ, რომ ბოლგარიაში დატუსაღებულთ აწვალებენ და საწყალებლად ქვიშით სავსე ტომრებსა ჰხმარობენ.

პოდპოლკოვნიკი პეტროვი ძლიერ საჭირო პოლიტიკური საქმის გამოვენას გაემგზავრა. ეშურებიან, რომ რაც შეიძლება, ჩქარა გაამაგრონ პარატა ზაიჩარა.

ალჟირი. ადმირალი კორნილოვი დილის ამბით მიიღეს და ბალი გაუმართეს. ბალზე დაესწრნენ უმაღლესი წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო მთავრობისა.

რომი. დღეს დილით გენერალ კრასნოკუტსკის გვამი სან-რემოდამ ფლორენციაში მოასვენეს. მიცვალებულს პატივი სცეს და სასაფლაომდე მიაცილეს აქაურის მთავრობის წარმომადგენელთ. ფლორენციის გაზეთებში განსვენებულის შესახებ ქებისა და მოწონების ნეკროლოგებია დაბეჭდილი.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მარტი.

| | მყიდველნი, მან. | კ. | გამყიდველნი, მან. | კ. | გაყიდულნი, მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 | 74 | 6 | 76 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | $134^1/_2$ | | 135 | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 06 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | | | „ | | |
| —მეორისა . . . . | $221^1/_2$ | | | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | $216^1/_2$ | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | 102 | | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | $102^1/_2$ | | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | 99 | „ | — | „ |

ჟიმოესვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვალზე გემები.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი გ. ტუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა სულხან ორბელიანისაგან . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| ამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კატონისი . . . | 1 | „ |
| ბრძე . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელოსანი მეურნეობის ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე ძველთა ისტორია ძველთა და ახალთა ხალხთა დასაბამიდგან სოფლისავიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკური, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატესა. ყდით . . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . . | „ | 25 |


განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

მექანიკოს კიმაერი

(განოვის ქუჩა, № 20)

ჰკისრულობს გამართვას ყოველ გვარის ქარხნისასა, ფაბრიკისას და სახელოსნოებისას. ჰკისრულობს აგრეთვე დაპარებას ყოველ-გვარის მაშინებისას ყოველის მოწყობილებითურთ და მათს მომართვას.

P. S. ვურჩევ ყველას შეძენას ახალის წისქვილებისას, პეტროლეუმი აგრეთვე აპარატებისას მადნის წყლებისათვის. (4—4)

ცენტრალური საგალანტერიო მაღაზია

პ. ი. ბროდსკისა

(ერევნის მოედანზედ, სემინარიისა და სკვერის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლში)

რადგან ამ მაღაზიაში ვაჭრობა ისპობა, საბოლოოდ იაფად ისყიდება ბევრნაირი საგალანტერიო და ახალ-მოდის საქონელი და საოჯახო ნივთეულობა. ბევრია: ჯერსე, კორსეტები, ქოლგები, არშიების კასინკები, კოსმეტიური ნივთები, ლამპები, ჭურჭლეულობა და სხვ.-და-სხვ.

ქალაქს გარეშე მყიდველებისათვის ჩემი სავაჭრო გადავიტანე შუა-ბაზრის შესავალში, შიოევის სახლებში, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო. (10—1)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство для учителей къ преподаванію по Русскому Слову**“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 70„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Тифлисъ, Дов. цен. 26-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.